ხელშეკრულება N- 11
(საინფორმაციო მომსახურების შესახებ)

ქ.თბილისი **20 იანვარი 2020 წელი**

ერთი მხრივ, შპს „ნსპ.გე“ – საინფორმაციო-შემეცნებითი პორტალი (**nsp.ge**) (შემდგომში „შემსრულებელი“), მისი დირექტორის ალექსანდრე ჩუბინიძის სახით და მეორე მხრივ, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემკვეთი“), წარმოდგენილი მერი ანივარდ მოსოიანის სახით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საინფორმაციო მომსახურების გაწევა.(CPV-92400000)

2.მხარეთა უფლება–მოვალეობები

2.1 შემსრულებელი ვალდებულია ვებ-გვერდის WWW.NSP.Ge საშუალებით:

1. მისცეს შემკვეთს ინფორმაციის გაცნობისა და გამოყენების შეუზღუდავი შესაძლებლობა;
2. შეუქმნას შემკვეთს საინფორმაციო არქივის გაცნობისა და გამოყენების შეუზღუდავი შესაძლებლობა;
3. შემკვეთს მისცეს ფოტომასალისა და ფოტოარქივის გაცნობისა და გამოყენების შეუზღუდავი შესაძლებლობა;
4. განახორციელოს ორგანიზაციის მიერ დაგეგმილი მედიაღონისძიების (პრესკონფერენცია, ბრიფინგი, სემინარი, პრეზენტაცია და ა.შ.) ანონსი. განათავსოს წინმსწრები და პოსტფაქტუმ ინფორმაციები.
5. სტანდარტული ინფორმაციის სახით გაავრცელოს ხელმომწერი ორგანიზაციის განცხადება ან მისთვის სასურველი პერსონის კომენტარი;
6. ორგანიზაციის სურვილის შემთხვევაში, ანონსის პარალელურად დაამზადოს წინმსწრები ინფორმაცია მის მიერ დაგეგმილი ღონისძიების შესახებ, და განათავსოს ღონისძიებამდე ერთი დღით ადრე და ღონისძიების დღეს, დილის საათებში.
7. ხელმომწერი ორგანიზაციის ინტერესის შემთხვევაში სააგენტოს ვებგვერდის თავფურცელში ე.წ. “სლაიდში”, 2-3 საათის განმავლობაში განათავსოს მასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ფოტო.

2.2 **შემკვეთი ვალდებულია:**

- ჯეროვნად და ხარისხიანად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

- დროულად და სრულად გადაუხადოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევისათვის გათვალისწინებული თანხა;

- შემსრულებლის მასალების (ინფორმაცია, ფოტო, ინტერვიუ, ანალიტიკა..) გამოყენების შემთხვევაში მიუთითოს თავისი პირველწყარო – საინფორმაციო-შემეცნებითი პორტალი **nsp.ge**

2.3 კონფიდენციალურობა

შემკვეთი ვალდებულია მკაცრად დაიცვას შემსრულებლის საიდუმლოება. არ გააცნოს მესამე პირებს და არ გაავრცელოს საინფორმაციო სააგენტოსთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია. კონფიდენციალურად ჩაითვლება ყველა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამაც შეიძლება რაიმე სახის ზიანი მიაყენოს საინფორმაციო სააგენტოს საქმიანობასა და განვითარებას.

- ❖ შემკვეთისათვის საარქივო მასალის გამოყენების მიზნით მიცემული პაროლი კონფიდენციალურია და დაუშვებელია მისი მესამე პირთათვის ხელმისაწვდომობა.

3.მომსახურების ღირებულება

3.1შემკვეთი გაწეული სამუშაოსათვის ანაზღაურების სახით შემსრულებელს უხდის თვეში - 370 (სამას სამოცდაათ) ლარს.
3.2ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს 4070 (ოთხიათას სამოცდა ათ)ლარს

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 მხარეები პასუხისმგებელნი არიან ერთმანეთის წინაშე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად წარმოშობილი ზიანისათვის, თუ იგი დაუძლეველი ძალის მოქმედებით არ იყო გამოწვეული.

4.2 მხარეთა შორის წარმოშობილი დავის ურთიერთმოლაპარაკებით გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში , მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

4.3 მხარეები იღებენ ვალდებულებას, არ გააცნონ ხელშეკრულების პირობები მესამე პირებს.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1მომსახურეობის მოწოდების ვადა. 2020 წლის 1 თებერვლიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე ხოლო ხელშეკრულების ვადა 2021წლის 15 თებერვალამდე.

5.2 ერთ–ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე ხელშეკრულება შესაძლოა დროებით შეჩერდეს, თუ არსებობს

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებები.

5.3 ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მხარეებმა უნდა შეასრულონ ადრე აღებული და შეუსრულებელი ვალდებულებები.

6. დასკვნითი დებულებები

6.1 ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლარად ქართულ ენაზე და ინახება მხარეებთან.

6.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა შესაძლებელია წერილობით ორივე მხარის ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე.

6.3 მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მათ ნებას.

6.4 ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას.

6.5 ამ ხელშეკრულებით მხარისათვის მინიჭებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ ნიშნავს მასზე უარის თქმას.

შემსყიდველი:

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქ 43
ს/ს ,,ლიბერთი ბანკის'' ნინოწმინდის ფილიალი
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ნ GE51LB0120146252122000
ს/კოდი 236689669

Anivard Mosoyan
Digitally signed by Anivard Mosoyan
Date: 2020.01.20 13:23:35 +04'00'

ა.მოსოიან

მომწოდებელი:

შპს „ნსპ.გე“

ს/კოდი #415593414

მისამართი: ქ. თბილისი აღმასენებლის 23

სს ლიბერთი ბანკი

ბანკის კოდი: LBRTGE22

ა/ნ GE25LB0113119589035000

დირექტორი: ა. ჩუბინიძე